



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
1 აპრილი, 2019


ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის თებერვალში ეკონომიკა 4.6%-ით გაიზარდა, იანვრის 3.5%-იანი ზრდის შემდეგ. 2019 წლის თებერვალში რეალური ზრდა აღინიშნებოდა დამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის და ოპერაციები უძრავი ქონების დარგებში, ხოლო კლება დაფიქსირდა მშენებლობის სექტორში. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარიდან დღე-ის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2019 წლის თებერვალში წლიურად 20.8%-ით გაიზარდა და 26.4 მლრდ ლარი შეადგინა (+15.3% გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). ამასთან, საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2019 წლის თებერვალში წლიურად 19.3%-ით გაიზარდა 22.9 მლრდ ლარამდე (+13.4% გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). 2019 წლის თებერვალში დეპოზიტების დოლარიზაციამ 62.3% (-1.42პპ წ/წ და -0.16პპ თ/თ), ხოლო სესხების დოლარიზაციამ 56.7% (+1.2პპ წ/წ და -0.3პპ თ/თ) შეადგინა. საანგარიშო პერიოდში უმოქმედო სესხები 2.9%-ს გაუტოლდა (+0.1პპ წ/წ და -0.1თ/თ).

საგადასახდელო ბალანსი: ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 7.7%-მდე შემცირდა (-1.1პპ წ/წ) და 1.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირებაზე, ტრადიციულად, ძირითადი ზეგავლენა საქონლით ვაჭრობის უარყოფითმა ბალანსმა იქონია, რომელიც წლიურად 0.2პპ-ით გაუმჯობესდა და მშპ-ის 25.3% შეადგინა. ამასთან, მომსახურებით ვაჭრობის (მშპ-ის 13.8%) და მიმდინარე ტრანსფერების (მშპ-ის 8.4%) დადებითი ბალანსი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვა ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენდნენ. ამასთან, საერთაშორისო რეზერვები 279 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

სესხების და დეპოზიტების დოლარიზაცია




წყარო: სეზ

ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.8%	4.8%	4.7%
მშპ ერთ სულზე (ppp)	10,065	10,742	11,600
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	3,857	4,047	4,346
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.8%	6.7%	1.5%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.8	3.0	3.3
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	13.1%	8.8%	7.7%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	3.0%	2.9%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	44.4%	44.8%	45.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, G&T

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2018-19

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №6 (საუკეთესო 10-ულის)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD POORS BB- სტაბილური დადასტურებული მაისი-2018	Moody's INVESTORS SERVICE Ba2 სტაბილური დადასტურებული სექტემბერი-2018	FitchRatings BB სტაბილური გაუმჯობესებული თებერვალი-2019
---	---	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 350 მლნ ლარის (129.8 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2019 წლის 26 მარტს 5-წლიანი 30 მლნ ლარის (11.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.155% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2019 წლის 2 აპრილს, სადაც 1-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

ემისიის კალენდარი, მარტი 2019

თარიღი	მოცულობა, მლნ აშშ \$	დაფარვის თარიღი
02-აპრ-19	40	1 წელი
08-აპრ-19	20	6 თვე
08-აპრ-19	60	2 წელი
16-აპრ-19	25	10 წელი
23-აპრ-19	30	5 წელი


წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.86%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.53 (+0.47% წინა კვირასთან). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 94.41 (+0.43% წინა კვირასთან შედარებით), 7.50%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG 04/21) ვაჭრობა დაიხურა ფასით 103.20 (-0.35% წინა კვირასთან შედარებით), 5.10%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 107.31 ფასად (-0.13% წინა კვირასთან შედარებით), 5.29%-იანი შემოსავლიანობით.


საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 105.76 (-0.09% წინა კვირასთან შედარებით), 3.89%-იანი შემოსავლიანობით.

ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	სასუალო ფასი, აშშ\$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	04/12/2021	BB-/BB-/Ba2/-	105.76	3.89	146.84
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	07/11/2022	BB-/B+/-/-	107.31	5.29	293.89
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	04/26/2021	BB/B+/-/-	103.20	5.10	267.54
GEBGG 06/20	GEL	500	11.000%	06/01/2020	BB-/B-/Ba2/-	n/a	n/a	n/a
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	07/26/2023	BB-/B-/Ba2/-	100.53	5.86	352.93
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.130%	n/a	B-e/-/-/-	102.72	10.77	807.38
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	03/09/2024	-/B+/B2/-	94.41	7.50	517.18
SILKNET 04/24	US\$	200	11.00%	04/02/2024	B+e/-/-/-	100.79	10.79	847.55

ადგილობრივი ობლიგაციები

GWP 12/21	GEL	30	10.000%	06/12/2021	BB-/B+/-/-	n/a	n/a	n/a
M2RE 10/19	US\$	25	7.500%	07/10/2019	B+/-/-/-	100.76	6.00	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.500%	31/12/2021	B+/-/-/-	101.25	7.00	n/a
GLC 08/20	US\$	10	7.000%	29/08/2020	B+/-/-/-	100.67	6.50	n/a
GLC 06/21	US\$	10	6.500%	22/06/2021	B+/-/-/-	97.97	7.50	n/a
Nikora 06/19	US\$	10	9.000%	28/06/2019	-/B+/B+	n/a	n/a	n/a
Silknet 08/22	GEL	34	10.000%	18/08/2022	B+/-/-/-	n/a	n/a	n/a
Crystal 12/19	GEL	10	11.000%	28/12/2019	B/-/-/-	100.00	11.00	n/a
Crystal 02/21	GEL	15	10.500%	01/02/2021	B/-/-/-	99.40	10.75	n/a
Swiss Cap. 09/21	GEL	10	13.000%	13/09/2021	B/-/-/-	100.0	13.00	n/a

წყარო: Bloomberg

ადმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევრობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	სასუალო ფასი, აშშ\$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	4/12/2021	BB-/BB-/Ba2	105.76	3.89	146.84
Armenia	US\$	500	6.000%	9/30/2020	B+/-/B1	102.54	4.23	173.35
Azerbaijan	US\$	174	2.820%	9/1/2021	BB+/-/Ba2	97.27	4.02	162.81
Belarus	US\$	800	6.875%	2/28/2023	B/B/B3u	105.11	5.40	307.02
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	10/14/2024	BBB-/BBB-/Baa3	103.25	3.23	89.29
Russia	US\$	3,500	5.000%	4/29/2020	BBB-/BBB-/Baa3	101.90	3.19	63.08
Turkey	US\$	2,000	5.625%	3/30/2021	BB-/NR/Ba3	99.01	6.16	374.07
Ukraine	US\$	1,409	7.750%	9/1/2021	B-/B-/Caa1	99.48	7.99	558.91

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN) აქციები დაიხურა 16.53 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.39% წინა კვირასთან შედარებით და -1.30% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 259 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 16.21 – 16.88 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 69 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 10.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.73% წინა კვირასთან შედარებით და -1.09% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 212 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.51 – 11.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 54 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN) აქციები დაიხურა 15.44 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.15% წინა კვირასთან შედარებით და +2.66% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 152 ათასს გადააჭარბა, GBP 14.06 – 15.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 25 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN) აქციები დაიხურა 2.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში +1.01% წინა კვირასთან შედარებით და -2.91% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 73 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.95 – 2.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 11 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Bank of Georgia	BGEO	GBP	16.53	813	-3.4%	-31.3%	20.0%	6.34x	5.60x	1.35x	1.14x
TBC	TBC	GBP	15.44	847	-8.3%	-16.1%	1.4%	6.28x	5.43x	1.12x	0.99x
Halyk Bank	HSBK	US\$	11.60	3,409	8.9%	-15.9%	12.1%	5.14x	4.81x	1.02x	0.90x
VTB Bank	VTBR	US\$	1.14	7,400	-14.7%	-41.7%	3.1%	2.65x	2.78x	0.43x	0.43x
Akbank	AKBNK	TRY	6.32	32,864	6.5%	-22.9%	7.4%	6.22x	4.26x	0.65x	0.58x
Garanti	GARAN	TRY	8.34	35,028	8.2%	-23.5%	4.8%	5.79x	3.75x	0.68x	0.60x
Isbank	ISCTR	TRY	5.50	24,750	24.4%	-22.9%	21.4%	3.79x	3.21x	0.46x	0.41x
PKO	PKO	PLN	38.58	48,225	-10.1%	-4.6%	-2.3%	11.88x	10.90x	1.17x	1.11x
PEKAO	PEO	PLN	110.00	28,872	3.6%	-10.8%	0.9%	11.94x	10.56x	1.23x	1.17x
Millennium	MIL	PLN	8.94	10,845	-3.4%	8.9%	0.8%	13.31x	11.03x	1.18x	1.10x
Mbank	MBK	PLN	425.20	18,002	-5.0%	1.5%	0.2%	14.23x	12.38x	1.09x	1.04x
BRD	BRD	RON	13.00	9,060	-4.0%	-12.8%	14.0%	9.55x	10.40x	1.24x	1.20x
Banca Transilvania	TLV	RON	2.08	9,991	-10.6%	-12.7%	3.5%	7.99x	8.27x	1.16x	1.07x
OTP	OTPD	USD	22.80	12,768	28.8%	1.8%	16.3%	10.84x	10.34x	0.84x	0.74x
Komerční	KOMB	CZK	940.00	178,646	3.2%	-0.1%	11.0%	12.26x	12.16x	1.70x	1.61x
საშუალო								8.55x	7.72x	1.02x	0.94x
მედიანა								7.99x	8.27x	1.12x	1.04x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Georgia Capital	CGEO	GBP	10.90	413	-2.3%	n/a	6.8%	14.11x	11.72x	0.84x	0.79x
Tinc Comm	TINC	EUR	12.00	327	-2.8%	1.7%	1.7%	21.81x	20.01x	1.00x	1.00x
Sabancı Holding	SAHOL	TRY	7.84	15,997	2.8%	-25.2%	4.3%	4.22x	3.86x	0.47x	0.42x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	33.10	498	-6.5%	-15.9%	-1.3%	16.58x	10.86x	1.12x	1.05x
Eurazeo	RF	EUR	67.00	5,128	-1.3%	-5.9%	8.4%	13.19x	12.12x	1.11x	0.92x
Carlyle Group	CG	USD	18.28	1,992	-18.9%	-14.4%	16.1%	2.97x	2.14x	1.96x	1.06x
საშუალო								12.15x	10.12x	1.08x	0.87x
მედიანა								13.65x	11.29x	1.05x	0.96x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ჯანდაცვის სექტორის შესაძარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		EV/EBITDA	
								2019F	2020F	2019F	2020F
GHG	GHG	GBP	2.00	263	-9.1%	-35.3%	-2.0%	17.15x	12.44x	7.53x	6.19x
Mouwasat	MOUWASAT	SAR	80.00	8,000	-5.0%	-9.2%	-0.6%	20.81x	18.28x	15.03x	13.39x
Fortis	FORH	INR	135.75	102,485	0.6%	10.1%	-3.4%	1.74x	1.62x	6.85x	6.66x
Raffles	RFMD	SGD	1.07	1,924	-5.3%	-7.0%	-2.7%	32.08x	31.12x	20.77x	19.46x
IHH	IHH	MYR	5.77	50,599	10.7%	-3.8%	7.1%	45.73x	35.81x	17.15x	14.42x
Bangkok Chain	BCH	THB	17.00	42,394	-18.3%	0.6%	1.8%	33.13x	29.09x	18.41x	16.55x
Netcare	NTC	ZAR	23.35	33,906	-3.6%	-16.6%	-11.7%	13.86x	12.82x	8.33x	7.72x
Life Healthcare	LHC	ZAR	26.84	39,384	9.3%	-2.8%	1.7%	19.13x	15.33x	8.53x	7.75x
Mediclinic	MDC	GBP	3.05	2,247	-29.0%	-49.3%	-5.5%	11.37x	10.27x	7.97x	7.37x
Apollo Hospitals	APHS	INR	1,227.60	170,790	17.8%	15.3%	-2.4%	62.30x	40.13x	19.63x	16.30x
KPJ Healthcare	KPJ	MYR	0.98	4,228	-9.3%	9.5%	-5.8%	21.79x	20.01x	11.61x	10.90x
NMC	NMC	GBP	22.84	4,756	-32.7%	-32.8%	-16.5%	16.44x	13.41x	13.08x	10.92x
საშუალო								24.63x	20.03x	12.91x	11.47x
მედიანა								19.97x	16.81x	12.35x	10.91x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთვნიან მესამე მხარეს, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge